ქართველი კურსდამთავრებულის წარმატება

2018 წლის 27 დეკემბერი. განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიატმა, სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამტავრებულმა სალომე გუგუნავამ წარმატებით დაასრულა სწავლა მილანის ტექნიკურ უნივერსიტეტში და მიიღო მაგისტრის ხარისხი არქიტექტურული დიზაინის განხრით.

სალომეს სამაგისტრო თემა ეხებოდა დანგრეული და თითქმის განადგურებული ქალაქის - ალეპოს (სირია) - უძველესი ისტორიული ცენტრის აღდგენა-რეაბილიტაციას, ეს საკითხი დღეს პრობლემური და აქტუალურია არქიტექტურაში, შესაბამისად, ამ თემაზე პარალელურად მუშაობენ მსოფლიოს წამყვანი არქიტექტორები, ურბანისტები, სოციოლოგები და უნივერსიტეტები.

აღნიშნულ პროექტზე ცენტრის სტიპენდიატი 2017 წლის სექტემბრიდან პროფესორის, არქიტექტორ დომენიკო ჩიზზონიტი–ის ხელმძღვანელობით მუშაობდა. თეზისი მაქსიმალური ქულით შეფასდა და ''Ordine dei architetti''-ის მიერ წლის საუკეთესო პროექტის ნომინაციაზეა შერჩეული.

POLITECNICO DI MILANO
POLITECNICO DI MILANO
POLITECNICO DI MILANO
POLITECNICO DI MILANO
POLITECNICO DI MILANO